



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 68
04/10/2018

68-06-4-201810041618



განკარგულება №68 3 ოქტომბერი 2018 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტით გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-253-ე მუხლების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გ. ეპისკოპოსის ქ. N8 მდებარე. (ს/კ. 26.26.47.007) მიწის ნაკვეთიდან 87 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (გზის) მოქალაქე ქეთევან თოიძის (პ/ნ 33001015740, მცხ: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქუჩის 1-ლი შესახვევი სახლი N1) სასარგებლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სერვიტუტის გამოყენებაზე (დატვირთვაზე).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო